საქსტატი
www.geostat.ge

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

# სასაკლაოების, ელევატორებისა და სამაცივრე მეურნეობების გამოკვლევის ძირითადი შედეგები

# 2019

## II კვარტალი

19.08.2019

www.geostat.ge

19.08.2019

# სასაკლაოების, ელევატორებისა და სამაცივრე მეურნეობების გამოკვლევის ძირითადი შედეგები

(2019 წლის II კვარტალი)

## სასაკლაოები

2019 წლის II კვარტალში საქართველოში 101 ერთეული ცხოველთა და ფრინველთა სასაკლაო ფუნქციონირებდა, მათგან 22.8 პროცენტი - ქვემო ქართლში, 15.8 პროცენტი - კახეთში, 11.9 პროცენტი - იმერეთში, 11.9 პროცენტი - შიდა ქართლში, 9.9 პროცენტი - სამეგრელო-ზემო სვანეთში მდებარეობს, ხოლო დანარჩენი 27.7 პროცენტი სხვა რეგიონებშია განთავსებული:

### საქართველოში მოქმედი ცხოველთა და ფრინველთა სასაკლაოები რეგიონების მიხედვით, 2019 წლის II კვარტალი



გამოკვლევის შედეგების მიხედვით, 2019 წლის II კვარტლის განმავლობაში სასაკლაოებში დაკლულია 98.7 ათასი სული პირუტყვი, მათ შორის 42.8 პროცენტი მსხვილფეხა, ხოლო 57.2 პროცენტი-წვრილფეხა (ცხვარი, თხა, ღორი და სხვა). გარდა ამისა, საანგარიშო პერიოდის განმავლობაში სასაკლაოებში დაკლული ფრინველის რაოდენობა 2,970.8 ათასი ერთეულით განისაზღვრა.

სასაკლაოების მიერ 2019 წლის II კვარტლის განმავლობაში 10,248.0 ტონა ხორცი იქნა წარმოებული (იგულისხმება დაკლული წონა, ფრინველის ხორცის ჩათვლით), საიდანაც 39.3 პროცენტი მოდის მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ხორცზე, 41.3 პროცენტი - ფრინველის, 16.8 პროცენტი - ღორის, 2.4 პროცენტი - ცხვრისა და თხის ხორცზე, ხოლო დანარჩენს უმნიშვნელო წილი უკავია.

მომსახურება გაეწია 9.7 ათას პირს, საიდანაც 35.6 პროცენტი შინამეურნეობების (ოჯახური მეურნეობები) სახით იყვნენ წარმოდგენილნი. სასაკლაოებში დასაქმებულთა საშუალო თვიურმა რაოდენობამ 908 კაცი შეადგინა.

ერთეული პირუტყვის დაკვლაზე მომსახურების საშუალო ფასი შეადგენს: მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის დაკვლის საფასური - 23.9 ლარი, ცხვრის ან თხის - 8.4 ლარი, ხოლო ღორის - 21.7 ლარი.

## სამაცივრე მეურნეობები

2019 წლის II კვარტალში საქართველოში 54 ერთეული სამაცივრე მეურნეობა ფუნქციონირებდა, რომელთა უმრავლესობაც შიდა ქართლის რეგიონში (37.0 პროცენტი) და ქ. თბილისშია (16.7 პროცენტი) განთავსებული. მოქმედი სამაცივრე მეურნეობები ასევე განთავსებულია სამეგრელო-ზემო სვანეთის (13.0 პროცენტი), ქვემო ქართლის (9.3 პროცენტი), კახეთის (9.3 პროცენტი), იმერეთის (7.4 პროცენტი), მცხეთა-მთიანეთის (5.6 პროცენტი) და გურიის (1.9 პროცენტი) რეგიონში:

**საქართველოში მოქმედი სამაცივრე მეურნეობები რეგიონების მიხედვით, 2019 წლის II კვარტალი**




2019 წლის II კვარტლის განმავლობაში მომსახურება გაეწია 273 მომხმარებელს. მწარმოებელთა და გადამყიდველთა რაოდენობამ, რომელთაგანაც შესყიდულ იქნა პროდუქცია - 118 ერთეული შეადგინა, ხოლო სამაცივრეებში დასაქმებულთა საშუალოთვიური რაოდენობა 817 კაცით განისაზღვრა.

2019 წლის II კვარტლის განმავლობაში მაცივრებში შენახული (განთავსებული) იყო 55.4 ათასი ტონა პროდუქცია, მათ შორის 61.8 პროცენტი ქათმის ხორცი (გაყინულის ჩათვლით), 18.7 პროცენტი პირუტყვის ხორცი და ხორცპროდუქტები (ნახევარფაბრიკატების ჩათვლით), 7.2 პროცენტი თევზეული, 6.6 პროცენტი ხილი და ბოსტნეული, ხოლო დანარჩენ პროდუქციას უმნიშვნელო წილი ჰქონდა:

## მაცივრებში შენახული პროდუქტების სტრუქტურა, 2019 წლის II კვარტალი




სამაცივრე მეურნეობების მიერ შემდგომი რეალიზაციის მიზნით 2019 წლის II კვარტლის განმავლობაში შესყიდულია 4.5 ათასი ტონა პროდუქცია. რაც შეეხება მომსახურების საფასურს - 3.4 მლნ. ლარი შეადგინა.

2019 წლის II კვარტლის განმავლობაში სამაცივრე მეურნეობების მიერ გაყიდულია 34.6 მლნ. ლარის ღირებულების (8.0 ათასი ტონა) პროდუქცია, საიდანაც ღირებულებით გამოსახულებაში შედარებით დიდი ნაწილი (50.8 პროცენტი) იყო ადგილობრივი (საკუთარი) წარმოების. ამასთან, სამაცივრეების მიერ გაყიდული ადგილობრივი (საკუთარი) პროდუქციის 94.4 პროცენტი მოდიოდა ქათმის ხორცზე. იმპორტირებული პროდუქციის მნიშვნელოვან მოცულობას პირუტყვის ხორცი და ხორცპროდუქტები (ნახევარფაბრიკატების ჩათვლით) (74.8 პროცენტი) და ქათამის ხორცი (გაყინულის ჩათვლით) (17.0 პროცენტი) წარმოადგენდა.

სამაცივრეების მიერ გაყიდული პროდუქციიდან უცხოურ ბაზარზე ქათმის ხორცი, თევზეული, ხილი და ბოსტნეული იქნა რეალიზებული.

გამოკვლევის შედეგების მიხედვით, კამერების საშუალო დღიური დატვირთვა (პროცენტულად კამერების ჯამური ტევადობიდან) აპრილში შეადგენდა 45.6 პროცენტს, მაისში - 52.5 პროცენტს, ხოლო ივნისში 48.3 პროცენტს.

## ელევატორები

2019 წლის II კვარტალში საქართველოში 21 ელევატორი ფუნქციონირებდა, რომელთა უმრავლესობაც ქვემო ქართლის (47.6 პროცენტი) რეგიონში იყო განთავსებული. ელევატორების 19.0 პროცენტი ფუნქციონირებს ქ.თბილისში, 14.3 პროცენტი შიდა ქართლის რეგიონში, 14.3 პროცენტი - სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში და 4.8 პროცენტი გურიის რეგიონში:

**საქართველოში მოქმედი ელევატორები რეგიონების მიხედვით, 2019 წლის II კვარტალი**




2019 წლის II კვარტლის განმავლობაში მომსახურება გაეწია 16 მომხმარებელს, მწარმოებელთა და გადამყიდველთა რაოდენობამ, რომელთაგანაც შესყიდულ იქნა პროდუქცია - 75 ერთეული შეადგინა, ხოლო ელევატორებში დასაქმებულთა საშუალოთვიური რაოდენობა 924 კაცით განისაზღვრა.

2019 წლის II კვარტლის განმავლობაში ელევატორებში შენახული (განთავსებული) იყო 121.5 ათასი ტონა პროდუქცია, რომლის 80.2 პროცენტს წარმოადგენდა ხორბალი, ხოლო დანარჩენ პროდუქციას (სიმინდი, ქერი, ქატო და ა.შ) უმნიშვნელო წილი ჰქონდა:

## ელევატორში შენახული პროდუქტების სტრუქტურა, 2019 წლის II კვარტალი




2019 წლის II კვარტლის განმავლობაში ელევატორების მიერ გაყიდულია 58.7 მლნ. ლარის ღირებულების 74.5 ათასი ტონა პროდუქცია, საიდანაც 68.8 პროცენტი იყო ადგილობრივი (საკუთარი) წარმოების.

ადგილობრივი (საკუთარი წარმოების) წარმოშობის პროდუქციაში, როგორც მოცულობის, ისე ღირებულების მიხედვით, ჭარბობდა ხორბლის ფქვილი, რომელზეც მოდიოდა ელევატორების მიერ გაყიდული ადგილობრივი პროდუქციის 85.3 პროცენტი.

გამოკვლევის შედეგების მიხედვით, ელევატორების საცავების საშუალო დღიური დატვირთვა (პროცენტულად საცავების ჯამური ტევადობიდან) აპრილში შეადგენდა 44.7 პროცენტს, მაისში - 42.7 პროცენტს, ხოლო ივნისში 37.6 პროცენტს.

საკონტაქტო პირები:
გიორგი სანაძე ტელ: 2 36 72 10 (200), E-mail: gsanadze@geostat.ge
მარიამ ყაველაშვილი, ტელ: 2 36 72 10 (020), E-mail: mkavelashvili@geostat.ge